პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 13 (13695) | პარასკევი, 15 იანვარი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ემზადებიან მიღწეულის გამო კანონიერი სიამაყის გრძნობით, მომავლის ნათელი პერსპექტივებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ.

1967 წლის 7 ნოემბერს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 50 წლისთავი.

საბჭოთა ხალხი, და მასთან ერთად ყველა ქვეყნის მშრომელები, ზეიმით აღნიშნავენ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების ამ მსოფლიო-ისტორიულ თარიღს. ოქტომბრის 50 წლისთავი მარქსიზმ-ლენინიზმის, მუშათა მოძრაობის იდეალების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეების გამარჯვებაა.

ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავი კომუნიზმის გამარჯვების, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ხელადის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ორთინანობისათვის მებრძოლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოველმყოფელი მოძღვრების გამარჯვების დღესასწაულია.

ემზადება რა ოქტომბრის 50 წლისთავისათვის, საბჭოთა ხალხი აჯამებს ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლისა და გამარჯვებათა შედეგებს. ეს არის გზა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილებიდან ძირეული სოციალისტური გარდაქმნებისაკენ, სოზოგადოებისაკენ, რომლისთვისაც უცხოა ექსპლოატაცია, ეს არის გზა მშრომელთა პოლიტიკური უუფლებობიდან სოციალისტური დემოკრატიისაკენ, ხალხთა ეროვნული ჩაგვრიდან მათი თანასწორობის, მეგობრობისა და ძმობისაკენ, ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობიდან — თანამედროვე ინდუსტრიისა და მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობისაკენ, უწიგნურობიდან — სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმაგალითო ზრდისაკენ.

საბჭოთა საზოგადოება იქმნებოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში. მეცნიერული სოციალიზმის იდეალების პრაქტიკულად განხორციელების ურთულეს ამოცანას რომ წყვეტდა ჩვენი ხალხი მიდიოდა ახალი, გაუკვალავი გზით. საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა გადალახეს ბევრი დაბრკოლება, გადაიტანეს წარმოუდგენელი სიძნელენი.

ამ გიგანტური ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც ჩვენს ქვეყანას ისტორია უსახავდა, საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავდადება, რევოლუციური ორგანიზებულობა, გამძლეობა, შეგნებული დისციპლინა და მიზანსწრაფულობა.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, აღნიშნულია დადგენილებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ემზადებიან მიღწეულის გამო კანონიერი სიამაყის გრძნობით, მომავლის ნათელი პერსპექტივებით.

სოციალიზმი მუდმივად განვითარებადი საზოგადოებაა, რომელიც თავის წინსვლითს განვითარებაში ავლენს ახალ-ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს. სოციალიზმის ეს შესაძლებლობანი და უპირატესობანი ხორციელდება არა თავისთავად, არა ავტომატურად, არამედ მილიონთა შეგნებული შრომის შედეგად.

დიდია საბჭოთა მუშათა კლასის როგორც ახალი საზოგადოების შემქმნელის როლი. მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის, შემოქმედი ხალხის ხორცი ხორცთაგანია. იგი მუდამ გრძნობს მის ერთსულოვან მხარდაჭერას. პარტიისათვის ძვირფასია მშრომელთა ნდობა, მას სხვა ინტერესები არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესებისა.

მტკიცედ და თანმიმდევრულად ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური პრინციპებით, მუდმივად ავითარებს და ამდიდრებს რა მარქსის, ენგელსის, ლენინის თეორიულ შემკვიდრეობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გზით, წარმატებით ასრულებს საბჭოთა ხალხის ორგანიზატორისა და პოლიტიკური ბელადის როლს.

კომუნიზმის გზაზე ჩვენი ქვეყნის წინსვლაში დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო სკკპ XXIII ყრილობა. პარტიის ყრილობამ ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მთავარი ამოცანები. პარტიამ შეიმუშავა და უკვე ახორციელებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, რათა განმტკიცდეს და განვითარდეს პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, დაიხვეწოს მუშაობის კოლექტიურობის პრინციპი, განვითარდეს შინაპარტიული დემოკრატია, გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდები.

პარტიის მიერ მომავალი წლებისათვის დასახული ამოცანები და გეგმები ახალ ძალას, ახალ ენერგიას მატებენ საბჭოთა ადამიანებს.

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის დღესასწაული, აღნიშნულია დადგენილებაში, საბჭოთა ადამიანების ტრადიცია გახდა. თვითეული საბჭოთა ადამიანი, თვითეული ოჯახი აღნიშნავს რევოლუციის წლისთავს როგორც ყველაზე სასიხარულო, დიდ და ღირსშესანიშნავ მოვლენას. მაგრამ ოქტომბრის 50 წლისთავი განსაკუთრებული დღესასწაულია. იუბილეს დღეებში ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი შეაჯამებენ მთელ ისტორიულ ეპოქაში განვლილი გზის შედეგებს. წარსულის გაზრებისას, საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული, რომ მათ წინაშე ისახება კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა ახალ გამარჯვებებს მოუტანს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ და დაავალა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაშალონ მზადება იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს შეხვდნენ როგორც მშრომელთა დიდ დღესასწაულს, როგორც კომუნიზმის იდეების ზეიმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, მშრომელთა აქტივობისა და ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარება სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული გეგმების განხორციელებისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ყოველმხრივ ვაჩვენებდეთ ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური გარდაქმნებისათვის, მის გავლენას მსოფლიო პროცესებზე, სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებაზე, ფართო პროპაგანდას ვუწევდეთ სოციალიზმის ძირეულ უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით, ყოველმხრივ ვაშუქებდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ ბრძოლას მეცნიერული კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის, ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა და გადახრათა წინააღმდეგ, პარტიის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შემდგომ განვითარებას, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა ჩაუნერგოს მშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულება, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა, მაღალი ჰორალური თვისებები, უნარი იმისა, რომ ყველაზე მაღლა აყენებდნენ სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს, მზად იყონ იარაღით ხელში დაიცვან ოქტომბრის მონაპოვარნი.

იუბილეს მომზადებასა და დღესასწაულში უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ძველი ბოლშევიკები, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილენი, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, შრომის ვეტერანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადებისა და მისი მოწყობის ღონისძიებანი და დაადგინა შეიტანოს ეს ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის განსახილველად.

მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ პარტიის, საოლქო, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების პლენუმებზე ან პარტიული აქტივის კრებებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა კოლექტივების კრებებზე განხილონ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები, და ამ პლენუმებსა და კრებებზე შეიმუშაონ და მიიღონ დიდი დღესასწაულისათვის მზადების კონკრეტული გეგმები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ტექნიკური დონის ყოველნაირად ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის, წარმოების მეცნიერული ორგანიზაციისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის.

მიზანშეწონილია, რომ ყველა საწარმომ, მშენებლობამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ჭიათურის და სიღნაღის რაიონის მშრომელთა თაოსნობის საფუძველზე იკისროს გადიდებული ვალდებულებანი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, და უზრუნველყოს მათი უთუო შესრულება.

მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებისა, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ კოლექტივების წახალისების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, წესდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად და რესპუბლიკური პრემიები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც დასახეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობის, გამწვანების, სკვერებისა და პარკების გაშენების ფართო პროგრამა.

ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და მოწყობის დღეებში უნდა აღინიშნოს რევოლუციის საქმისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნა. მოეწყოს კრებები ძველ ბოლშევიკთა, რევოლუციის. სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთა, შრომის ვეტერანთა, ხუთწლედების გმირთა. სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ მონაწილეთა პატივსაცემად.

რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ ფართოდ და მკაფიოდ გააშუქონ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადება და ასახონ ჩვენი პარტიის სახელოვანი რევოლუციური საქმიანობა, ხალხის მამაცობა და გმირობა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა, დარაზმონ ისინი ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას წინადადება მიეცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოაწყოს საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის მიღწევათა ფართო ჩვენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა მოამზადოს და გამოუშვას სტატისტიკური მასალების კრებული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების წლებში“.

დამტკიცებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მოსამზადებელი კომისია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელნი თავიანთი შემოქმედებითი შრომით კიდევ უფრო გაამრავლებენ წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, კიდევ მეტი ენერგიით შეასრულებენ კომუნისტური მშენებლობის დიად გეგმებს, რომლებიც განსაზღვრულია პარტიის პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან ორმოცდამეათე წლისთავს. (საქდესი).

გულითადი შეხვედრები

გორში, 14 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც გორაში იმყოფება, სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან კ. ფ. კატუშევთან და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარესთან ი. ი. ჩუგუნოვთან ერთად დღეს მიიღო საწარმოთა დირექტორების, საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელებისა და თვალსაჩინო მეცნიერების ჯგუფი.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევი დაინტერესდა საწარმოთა წარმოებისა და ეკონომიკის საკითხებით, სამეცნიერო-საკვლევ ძიებათა შედეგებით, მეცნიერთა მუშაობის შემდგომი პერსპექტივებით, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესს მიღწევათა დანერგვით. განიხილეს აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დასახულია გორკელთა წინაშე საიუბილეო წელს.

ხაბაროვსკი. 14 იანვარი. (საქდესი). დღეს ხაბაროვსკელებმა გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. აეროდრომზე მოვიდნენ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სამხედრო პირები. გამცილებელთა შორის იყვნენ სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. შიტიკოვი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ა. კ. ჩორნი და სხვები.

ა. ნ. კოსიგინი გულთბილად დაემშვიდობა გამცილებლებს.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად ხაბაროვსკიდან სახალინში გაფრინდნენ შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. გ. პავლოვსკი და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი პ. ფ. ტიურნევი.

იუჟნო-სახალინსკი, 14 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ჩვენი ქვეყნის უკიდურესი აღმოსავლეთის მცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ ამხ. ა. ნ. კოსიგინს, რომელიც აქ ჩამოვიდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან გენერალ-პოლკოვნიკ დ. გ. პავლოვსკისთან ერთად.

აეროპორტში ამხ. ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ სკკპ სახალინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ა. ლეონოვი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ს. ა. ნემცევი და სხვა პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ასობით ადამიანი გულღიად შეხვდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ქალაქის მთავარ მაგისტრალზეც.

სახალინის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრების შემდეგ, რომელზეც ა. ნ. კოსიგინმა მოხსენება გააკეთა, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა დაათვალიერა იუჟნო-სახალინსკის ზოგიერთი მაღაზია, გამოიკითხა, როგორ აკმაყოფილებენ სახალინელებს სურსათითა და სამრეწველო საქონლით.

ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა აგრეთვე გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ამ ოლქის საწარმოთა პროდუქცია, მისი წიაღისეული და ზღვის სიმდიდრე, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტები, ბეწვეული.

პარტიული აქტივის კრებებზე

ერთსულოვნად იწონებენ

სოხუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ო. კობახიამ.

მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წ.) პლენუმის შედეგების შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი.**

აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით პირობა დადეს, რომ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან მშობლიური პარტიის გარშემო, ახალი თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

ცხინვალი, 14 იანვარი. (საქდესი). გაიმართა სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჯუსოევმა.**

მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმის შედეგების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ.**

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. მიღებულ რეზოლუციაში ისინი აღუთქვამენ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომუნისტები, მთელი მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო მეტი ენერგიით განახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გეგმებს, ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1967 წლის 14 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ფ. დ. დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ფატუმა დავითის ასული **დუმბაძე** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1967 წლის 14 იანვარი.

საიუბილეო შრომითს ვახტზე

თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ კოლექტივმა ხუთწლედის პირველი წლის დავალება გადაჭარბებით გაანადა. ქარხნის წარმატებაში თავისთანი წვლილი შეაქვს ახალგაზრდობას. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საამწყობო საამქროს მუშები ცალა წოწორია და ნადეჟდა ოზგელდოვა. ისინი დღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

• • •

სურათზე: ც. წოწორია (მარცხნივ) და ნ. ოზგელდოვა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დაწინაურდნენ მენავთოგეები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა საქნავთის ტრესტის გაერთიანებული ნავთობსარეწის (უფროსი ვ. ბარბაქაძე) კოლექტივმა, რომელმაც ხუთწლედის პირველი წლის ნავთობის მოპოვებისა და გადაქუშვების გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. წლიური გეგმის გადამეტებით ამოღებულია 496 ტონა ნავთობი, ხოლო ნავთობის გადამუშავების მაჩვენებელი 4.008 ტონით სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს.

ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებით მიღებულია 133 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ტრესტის კოლექტივში სახელი გაითქვა კოლხიდის ბურღვის კანტორის № 4 ჭაბურღილის ბრიგადამ, რომელსაც მ. ბერიაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ საპროექტო დავალებით 4.550 მეტრის ნაცვლად 4.608 მეტრი გაბურღა და ამ სამუშაოს დრო 539 დღეღამით შეამცირა. ამასთან ყოველი მეტრის ბურღვაზე 8 მანეთის ეკონომია გასწია, რითაც 36.864 მანეთი დაზოგა.

მეშახტეთა პატაკი

ტყიბული. (საკ. კორ.). საიუბილეო წლის პირველ დეკადაში დაწინაურდა დასავლეთის შახტის კოლექტივი. მეშახტეებმა რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიას უკვე გაუგზავნეს ერთი ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო“. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იმ საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც სამთო ტექნიკოსი კ. კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. მისმა უბანმა ათ დღეში გეგმის გადამეტებით 400 ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირი ამოიღო. დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ წამყვანი პროფესიების მეშახტეები გ. ჭიქაბერიძე, გ. ჭელიძე, გ. არსენაშვილი, გ. ოდიშვილი, ა. ცნობილაძე.

ასევე წარმატებით შრომობენ ორჯონიკიძის სახელობისა და ლენინის სახელობის შახტების კოლექტივები. ორჯონიკიძის სახელობის შახტში მაღალშედეგიანი ალმოჩნდა მეშახტეთა სადღეღამისო ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი ნ. თევდორაძე ხელმძღვანელობს. შრომითს წარმატებებს აღწევენ აგრეთვე მეშახტეები შ. კვირიკაშვილი, შ. ბოჭორიშვილი, ვ. ბრეგაძე, ა. ბუაძე და მ. ობოლაძე, რომლებიც დიადი თარიღების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან.

168.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის თავდადებულად შრომობს ჩვენი ქარხნის კოლექტივი. 1966 წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ პროდუქციის ყველა სახეში. 6 პროცენტით გაეზარდეთ შრომის ნაყოფიერება და სამშობლოს მივეცით 168.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

საიუბილეო წელი ახალ ამოცანებს გვისახავს. მალე გადავალთ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

გ. ბიორგაძე,
„სამტრესტის“ საჩხერის ქარხანათა სამმართველოს დირექტორი.

მოძმე ქვეყნებში

პარტიის ურილობისა და ოქტომბრის 50 წლისთავის შესახებ

ბერლინი. 1966 წელს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ახალი წარმატებანი მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი გადიდდა 4 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ახლა ემზადება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობისათვის, რომელიც ამა წლის აპრილში გაიმართება და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. ბერლინის, ლაიფციგის, დრეზდენის, შაგდებურგის, ჰალეს, როსტოკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქების საწარმოებში, აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის რაიონებში იმართება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პარტიული აქტივების სხდომები. სხდომებზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მონაწილეობით იხილავენ სოციალიზმის შემდგომი გაშლილი მშენებლობის ამოცანებს, პარტიის მორიგი ყრილობისათვის მზადებასა და ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს დღესასწაულის საკითხებს. პარტიის წევრებთან ერთად რესპუბლიკის წინაშე დასახული აქტუალური პრობლემების განხილვაში აქტიურად მონაწილეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ფართოდ გაიშალა ახალ წელს, ებმებიან ახალ-ახალი საწარმოო კოლექტივები.

ეძღვნება დიად ოქტომბერს

ვარშავა. სახალხო პოლონეთში დიდი წარმატებით და გაქანებით მიმდინარეობს საბჭოთა სიმღერის მოყვარულთა კონკურსი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

საოთალავით მეექვსე სრულიად პოლონეთის კონკურსის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს საბჭოთა სიმღერებს ხალხის უფართესს წრეებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. კონკურსში მონაწილეობს 500 ათასზე მეტი კაცი.

ოქტომბრის 50 წლისთავისათვის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება კულტურისა და ხელოვნების სამინისტროსთან ერთად ამზადებს რუსული, საბჭოთა და პოლონური პოეზიის, აგრეთვე სხვა ხალხების პროგრესული რევოლუციური, პოეტური შემოქმედების მოყვარულთა თეატრების ფესტივალს. თეატრების რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი უჭავთ ნაწარმოებებს ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის პოეზიის მოყვარულთა ანსამბლი თეატრმა განაცხადი წარადგინა ფესტივალში მონაწილეობისათვის.

უნდება გულგარეთის დედაქალაქი

სოფია. მეხუთე ხუთწლედში გათვალისწინებულია დიდი საბინაო მშენებლობა ბულგარეთის დედაქალაქში. ამ მიზნით გამოყოფილია 331 მილიონი ლევი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე შეოთხე ხუთწლედში. სოფიის მცხოვრებნი მიიღებენ 40 ათასზე მეტ კეთილმოწყობილ ბინას. ხუთწლედის დამლევს მთლიანად დამთავრდება რვა საბინაო კომპლექსი.

ეკონომიკის საფუძველი

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მძიმე მრეწველობის საწარმოებში ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით 1 მილიონი მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი, რაც მრეწველობის ყველა დარგში მომუშავეთა 40 პროცენტს შეადგენს. სახალხო მეურნეობის ეს უდიდესი დარგი აგრეთვე უშვებს იმ სამრეწველო ნაწარმის საერთო მოცულობის 40 პროცენტს, რომელსაც ჩეხოსლოვაკიაში აწარმოებენ.

ახლანდელ ხუთწლედში (1966-1970 წლები) დაგეგმილია კიდევ უფრო განვითარდეს მძიმე მრეწველობა და გადიდდეს მისი წარმოების მოცულობა 45 პროცენტით.

საწარმოთა დიდი საწარმოო სიმძლავრე საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს არა მარტო რესპუბლიკის საკუთარი მოთხოვნილებანი, არამედ მოწყობილობისა და მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიტანონ საზღვარგარეთ. შარშან საზღვარგარეთ გატანილი მძიმე მრეწველობის პროდუქციის ღირებულების მოცულობა შეადგენდა 1.500 მილიონ დოლარს.

ჩეხოსლოვაკიური მოწყობილობა, ჩარხები, თვითმფრინავები და ავტომობილები, ელექტროტექნიკური და ოპტიკური მრეწველობის ნაწარმი, ელმავლები და დიზელ-ელმავლები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები იგზავნება 80-ზე მეტ ქვეყანაში.

საერთაშორისო ცხოვრება

„კულტურულ რევოლუციას“ ბრძოლა გამოუცხადეს შანხაიში

აკადემიკოსის დიკლოში ვიეტნაველ მეცნიერს

ჰანოი, 14 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვმა სსრ კავშირის. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით აკადემიკოსის დიპლომი გადასცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჩან დი ნგიას, რომელიც არჩეულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად მეცნიერების განვითარებაში და სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაში დამსახურებისათვის. მიიღო რა დიპლომი, ჩან დი ნგიამ განაცხადა, რომ მთელ ძალღონეს მოახმარს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, ორივე ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებას. მან მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას იმისათვის, რომ საბჭოთა მეცნიერები დიდ დახმარებას უწევენ ვიეტნამს მეცნიერულ კვლევასა და კადრების მომზადებაში.

პეკინი, 14 იანვარი. (საკდესი). შანხაის გაზეთებში „ვენხუეი ბაოსა“ და „ძიფან ჟიბაოში“ გამოქვეყნებული ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ შანხაიში „ეკონომიკურ“ რევოლუციის“ წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ეუფლებოდა სამრეწველო საწარმოთა მუშაობა, ჩერდებოდა სარკინიგზო ტრანსპორტი. იყო გზატკეცილების შეკეთების შემთხვევები. ამ გაზეთებმა, რომლებიც ხელთ იგდეს ხუნვეიმინების ორგანიზაციებმა და რომლებიც თავიანთ თავს „მეამბოხურსა და რევოლუციურს“ უწოდებენ, გამოაქვეყნეს „საგანგებო უწყება“, რომელშიც ნათქვამია, რომ „ჩინეთის კომპარტიის შანხაის საქალაქო კომიტეტის უფლებამოსილი ჯგუფი და ხალხის „უმნიშვნელო ნაწილი“, რომლებიც მათ მიჰყვნენ, „ძირს უთხრიან დიდ პროლეტარულ კულტურულ რევოლუციას, ეწინააღმდეგებიან თავმჯდომარე მაოს ხაზს“.

ეს პირნი, ნათქვამია „უწყებაში“, „მატერიალური კეთილდღეობის საკითხით სარგებლობენ იმისათვის, რათა ხალხი ჩამოაშორონ ბრძოლის ძირითად მიმართულებას, მასების ერთ ნაწილს აქეზებენ მეორის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შეწყვეტა, სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერება და გზატკეცილების შეკვრა“. იყო შემთხვევები, როცა ნავსადგურის მუშაკებს „აქეზებდნენ შეეწყვეტათ საწარმოო საქმიანობა“.

„უწყების“ ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა“ „კულტურული რევოლუციის“ ბოლომდე მიყვანა. ისინი შანხაის საქალაქო კომიტეტს ადანაშაულებენ იმაში, რომ იგი „აღიდებდა მუშათა ხელფასსა და აუმჯობესებდა მათ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობას“. შანხაის საქალაქო კომიტეტი, ნათქვამია „უწყებაში“, ცდილობდა მის წინააღმდეგ მიმართული „მწვავე ბრძოლა თავიდან აეცილებინა წარმოებისათვის ძირის გამოთხრით, რასაც იწვევდა ხელფასის მომატება და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება“.

„უწყებაში“ ნათქვამია, რომ „ამჟამად დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუცია შანხაიში შევიდა ორი ხაზის გადაწყვეტილ ბრძოლის სტადიაში“, რომ შანხაის საქალაქო კომიტეტი „დამხობილია“ და რომ „იკრძალება ამ უწყების გამოქვეყნების დღიდან“ ყოველგვარი ხელფასის მომატება. „ხელფასის მოწესრიგებასთან და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, პრინციპულად უნდა გადაიჭრას მოძრაობის („კულტურული რევოლუციის“. — რედ.) მოგვიანო სტადიაში“. „საგანგებო უწყება“ შეიცავს ბრძანებას შანხაის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოებრივი უმაშორონს ბრძოლის ძირითად მიმართულებას, მასების ერთ ნაწილს აქეზებენ მეორის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია სამრეწველო საწარმოთა მუშაობის შეწყვეტა, სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერება და გზატკეცილების შეკვრა“. იყო შემთხვე

ამ დიდ დღეთა მონაპოვარი

ოქტომბრის 50 წელი — ეს არის ახალი საქაროს ადამიანის, ახალი მორალის ადამიანის დაბადება.

(დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი ბაკურიანში ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან)

• მუშის სინდისი

მოვალეობა

თითქოს განგებ დაუნაოკებია, განგებ მოეწყარგავს ბუნების უცნაურ ხელს ინერეთის ზეგანი ისე, რომ გზად მიმავალს ყოველ ნაბიჯზე აოცებდეს აუნერელი სილამაზე. დრო იყო, ჯორკიდებულს უჭირდა აქ გავლა, ფეოსოიან ურემზე ხომ ლაპარაკიც მეტი იყო. რაიცოდა ყოველის შემამკობელმა ბუნებამ, რომ მილევი ხელით დახატულ ხეობათა სილამაზეზ ზოგჯერ წყვილ-კოტულის საგნად იქცეოდა — აქ ყოველი მოსახვევი, წამოწვდილი კლდე, დაკიდებული ალმართი თუ ცუცაბოზე საოცრებით შეკავებული ლოდი მუდამ ჩასაფრებულსავით იყო ქვეითსა და ცხენოსანისათვის... ხეობაში ეხოლოდ ფხიზელი თვალისა და მარჯვე ხელს მემანქანეებს გადაპყავთ. მატარებლები. თუ დაზიანებული ან ცუდად დატვირთული ვაგონი სხვაგან უხიფათოდ გაიცლის, ეს გზა გამართულსაც მოულოდნელ ხიფათს უქმნის და შემანქანის ნერვებს გამოცდას უწყობს.

ერთი ასეთი გამოცდა ჩაადარა ამ ცოტა ხნის წინ ელმავლის მემანქანე შოთა მანჯავიძემ.

მატარებელი მძიმე-მძიმედ ამოდის. მემანქანეს ზღვრულ სიჩქარეს აუწყებენ. ეს სასტიკი გაფრთხილება კონკრეტულად ამ ადგილს ეხება.

შეადგამეა. ნელა მიიწევს მძიმე წონის მატარებელი. მოწინავე ელმავლის პროფესორი ალობს წყვდიადს. ცუდი ეს ირის, ეგაგონებს ნოქამს სიბნელე, მუშაობა ჭირს. ამ კუნაპეტში დაინახა მანჯავიძემ, როგორ ატორტმანდა ერთ-ერთი ვაგონი, როგორ შეირხა, ხან გამოსცილდა გზის პროფილს, ხან ისევ შეაწოა..,

დეტალურად თუ არ ავწერთ ავარიის განვითარების მომენტებს, ის მაინც უნდა ეთქვათ, რომ ლია ვაგონში სადღაც სწორად არ ჩატვირთეს 60 ტონა ჯართი, დაირღვა დატვირთვის ინსტრუქციის რომელიღაც პარაგრაფის რომელიღაც პუნქტი...

მანჯავიძის მოკლე რადიოგადაკრულებლა სწვდება სამატარებლო და უკანა მიმწოლი ელმავლებს, მემანქანეებს. მატარებელი შედგა: წინა ვაგონის წინა გოგორწყვილი გადასცდენია ლიანდაგს, ბოგირზე გაელისას საკონტროლო რელსზე შემდგარა, მერე კიდევ უვლია ერთბანს, საყრდენგამოცლილს, სანამ მანჯავიძის ფხიზელმა თვალმა შემადგენლობა არ შეაჩერა.

ამოვარდნიდან გაჩერებამდე ვაგონმა 65 მეტრი გაიარა. ცოტაც რომ ეკლო, ვიწრო გვირაბში შეაღწევდა და, იქ რომ გადაბრუნებულიყო, იქნებ ერთი ან ორი დღით ჩაკეტილიყო გზა — გვირაბში ავტობლოკირებისა და სიგნალიზაციის ურთულესი ხაზები გადის.

მემანქანე რადიოთი უკავშირდება სადგურს. სადგურიდან რამდენიმე კაცი მორბის, ვაგონს ხუნდებით სწვეენ და რელსებზე აყენებენ.

მაგრამ საქმე მარტო ამით არ თავდება.

შ. მანჯავიძეს, სამატარებლო ელმავლის მემანქანე ი. ჩარაქიძეს, ამათ თანაშემწეებს ჯ. კიკნაძესა და ე. ესიოკოს, შემდგენელ ა. ვეფხვაძეს, ხაშურის დისტანციის მუშებს ვ. და გ. ინჩკოთიძეებს და სადგურ მარელისის უფროსს მ. მაღრაძეს, რომელმაც ვაგონის აწევის ხელმძღვანელობა იკისრა, შეეძლოთ დაეხმარა მატარებელი გამოეძახებინათ და ამის მოსვლამდე ჯიბეებში ხელებჩაწყობილთ ეცქერათ ლიანდაგიდან ამოვარდნილი ვაგონისათვის. ეს თუმცა დიდ დროს წაიღებდა, მაგრამ ამისათვის მათ ვერავინ დასჯიდა... საკუთარი სინდისის გარდა. სწორედ სინდისს ეკრავინ უხსენებს აუგად იმათ, ვინც ზემოთ ჩამოთვალეთ — მუშური პატიოსნებით მოიხადეს მათ თავიანთი ვალი. ყველამ გზის ხელმძღვანელობის მადლობა და ფულადი პრემია დაიმსახურა.

ეითომ ამიტომ ირჯებოდნენ?

არა.

— რა მოელოდათ ამ თავგამოდებულ ენთუზიასტებს, ლიანდაგზე შეყენებისას ვაგონი რომ გადაბრუნებოდათ? — ეკითხეთ რკინიგზის სამმართველოში.

— დაისჯებოდნენ. ზოგიერთს, ალბათ, თანამდებობიდან ჩამოაყენებდნენ.

პირადი პასუხისმგებლობითა და რისკით მომუშავე ენთუზიასტთა სამსახურებრივი მომავალი ჯილდოსა და სასჯელს შუა გადებულ ბეწვის ხიდზე ჭანაობდა. მხოლოდ სიქმის სიყვარულმა მიიყვანა ისინი დამსახურებულ ჯილდომდე. დამხმარე მატარებლის ლოდინის დრო არ იყო, — რაც უფრო დიდი ხნით ჩაიკეტება გზა, მით უფრო დიდი ზარალი მოუვა ქვეყანას.

ამ შეგნებით უდგებოდნენ ისინი თავიანთ საქმეს!

ბ. ჯინჭარაძე.

თენგიზ გოგოლაძე

50

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე მოეძღვნა მწერალმა თენგიზ გოგოლაძემ თავისი ახალი რომანი „კაცი კაცისთა“. ამ რომანის პირველი წიგნი შარშან მიეცა ჩვენმა მკითხველმა. მწერალმა უკვე დაამთავრა მუშაობა რომანის მეორე წიგნზე, რომელსაც გამოსცემს „ლიტერატურა და ხელოვნება“. დღეს ვბეჭდავთ ერთ თავს რომანის მეორე წიგნიდან.

ემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აშენების ამბავი მთელ საქართველოს მოეკრა.

ცხოვრებაში შემოჭრილ ბევრ სიახლეს მრავალთა შორის ეჭვი გაუჩენია, ბევ რამეს შიშით შეუყურებენ ამ ამბავს. ასე იყო, როცა პირველად იხილეს ორთქლის მანქანა, როცა მტკვრის ნაპირზე პირველმა ელექტრომავალმა დაიგიჟლა.

მაგრამ ჰიდროელექტროსადგურის აშენება ამბავმა იმთავითვე იმედის სიდიდე ალაჩინა. ელექტროდენი ქვეყნის ბოლოდ და მზედ რომ გადაიქცეოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან ხალხი გათვითცნობიერდა, სიახლეთა ავი და კარგი გაარჩია.

მუშებს ელექტრობის ძალა და სიბნელე ეჩირქებოდა. გლეხკაცი შუქს ეაბრობდა. თუმცა გლეხკაცს ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა ელექტრობაზე, ოდენ ესმოდა როცა გაიგო და ქალაქელთა ზეციერი ოჯახში ნახა უნაკლოოდ და ელატრუქად სასწაულებრივ განათებული ნათურა, ინატრა თვითონაც ასეთი ნათურით დაეშვენებინა თავი-ნ კერიის ჭერი. სხვა სასწაულების მოდგენა რომ შეეძლო ელექტრობას, ამისი წარმოდგენა ჯერ კიდევ არ ეპარებოდა. მისი ნატვრა შუქი იყო.

და აი, ზემო ავჭალაში უნდა აშენებინათ სადგური, საიდანაც შუქი წამოვიდოდა.

საქართველოში მანამდე არსებულ ორ ერთ მშენებლობას ისეთი ძალით არ მუშიდავს ხალხი, როგორც ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობამ მიიზიდა. ხალხის საერთო ბაკადს გარიყულელები და ახალქალაქელებიც მუშურდნენ.

• • •

ადამიანი მიწას თავიდან გაჩენის დღიდან ებრძვის, ხნავს, ჭრის, თიბავს. მიწას დედას ეძახის, რადგან მისით იკვებება, მისით არსებობს, სანამ ცოცხალია, მიწაზე უდგას ფეხი, მიწით უდგას სული. მოკვდება, და მასვე მიებარება. მიწა და ადამიანი განუყოფელნი არიან.

ბნელია მიწასთან ჭიდილი. მუშაკაცის ენერგია ერთი ისე ირაფერს მიჰყვია, როგორც მიწის საბრძოლველს.

ასეთი ფიქრებით ალბათ ძალიან ცოტა მოიძებნებოდა ისეთი არხი, სადაც მუშაკი სამუშაოდ ხალისით ამოსულიყოს და შრომა ზეიმად გადაქცეულიყოს.

ოქტომბრის ის დაუვიწყარი დღე კი სულ სხვანაირი იყო.

ეცხოთამი ღამით ჩამოსული გარიყულელები და ახალქალაქელები მზის ამოსვლას საქართველოს სამხედრო გზაზე შეხვდნენ, როცა ფეხით ზემო ავჭალისაკენ მიდიოდნენ.

ადა გიგოს გვერდით მიაბიჯებდა. ზურზე მომცრო ნიჩაბი გაედო და ბეი ვაკაცად მოჩქონდა. ძილი დაკოდა, სამაგიეროდ დღის საამო გაბოლებ ნეტარებით ავსებდა. მიუბარდა. ხედავდა, რომ თანასოფლელებ ხალისით და ამაყად მიაბიჯებენ და თვითონაც უნებურად ამ ნაბიჯს აყოლოდა.

ვაჟას აკონდებოდა დეკემბრის ის ბუსხიანი ღამე, როცა გიგოს თბილისიდან წამოჰყვა და ურმით მცხეთაში ამოიარა. მაგრამ ეს მიდამოები კი არ აკონდებოდა. ბუნდოვნად მარტო ეტაცოცოელის ტაძარი ესახებოდა, ოლო მთის კორტოხეს აზიდული ვგარი მაშინ არც კი შეუმჩნევია. ახლა რომ შეხედა მთაზე აზიდულ ძველი საქართველოს დიდების ნაშთს, ანაც თვისებური ღამაზი სურათი ოქსოვა ყმაწვილის გულში.

ბაში მიწისმხრივთა დიდ ეუფს წამოწყვნენენ. ფეხის ხმაზე ამდენიმე კაცმა მოიხედა.

— გამარჯობამ!

— იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ!

სალამი გაცვალ-გამოცვალეს. რა-ა გაიგეს, ორთ საქმეზე ეშუ-ებოდნენ, შეერდნენ.

ვაჟა ყველას გაფაციცებით აკვირ-ებოდა. თავისი სოფლის პატარა ავჭალარი კიდევ უფრო რომ გაზაზარდა ა შემცვდართა მხიარულება მათ ხიარულებას დაემატა, ყმაწვილი ამან უფრო მეტად გაახალისა.

— გარიყულადან რამ წამოგიყვანათ? — უკვირდათ შემხვდურ მცხეთელებს.

— რამაც თქვენ მცხეთიდან დაგძრათ, — იყო ნოსწრებული და მოკლე პასუხი.

ისაა. წუთა-წუთს მზეც გამოჩნდებოდა. და აი, როცა მცხეთელებმა და გარიყულელებმა ზემო ავჭალას მიაღწიეს, ამოვიდა იგი, ერთი ბრიალა თვალი, და ქვეყანა ოქროსფრად მორთო.

მტკვარს გაღმა რამდენიმე ბარაკი და ორიოდე კარავი მოჩანდა. იქით უკვე დაეწყოთ მიწის თხრა. მუდმივ სამუშაოზე მყოფნი ალბათ უკვე ელოდნენ შაბათობაზე დაძრულთა ლაშქარს.

მტკვარს გამოღმა შეჩერდნენ მცხეთელები და გარიყულელები. სამხედრო გზის პირას დაკაყარეს საგზალი, იარაღი. ზოგი ბალახზე მიწვა, ზოგი ჩამოჯდა, ზოგიც ფეხზე მდგომი უცდიდა, როდის გამოჩნდებოდნენ თბილისელები.

ვაჟამ ფერდობზე აირბინა და სამხედრო გზის თბილისისაკენ გახედა. გზა მალე იკარგებოდა მოსახვევში. მტკვარი მზეს სხივებს ჰბნდდა და თვალისმომჭრელად ბზინავდა. გაღმა-გამოღმა ბორცვები შეტრუსულიყო. უფრო მომაღლო გორაკებს სიმწვანე შერჩენოდა, ხოლო მთები ისევ ინარჩუნებდნენ ცის ფერს, ლურჯსა ფერს. ხეობებში მზის ჭავლი მიფენილიყო და იქიდან აკრეფილი ნისლი თანდათან იცრიცებოდა.

ასეთი ხალისიანი და მოზეიმე დღე ჯერ არ ახსოვდა ვაჟას. მას ეგონა, აქ თავშეყრილი მუშები, ბარდაგიმისა, მცხეთელები და გარიყულელები ისე უცვიმ გაითქვიფნენ ოთხიათასიან თბილისელთა ლაშქარში. მამაკაცებს გარდა აქ იყვნენ ქალები, მოწაფეები, სტუდენტები. ლაშქრის უმეტესობას კი მუშები შეადგენდნენ.

ვაჟა ხალხში გაერია. დაიბნა. თვალთაგან უცებ დაეკარგნენ თავისიანები. ხალხის ღიღინას გაპყვა.

ხალხი მტკვარს გაღმა გავიდა. მთელი არმია ზემო ავჭალიდან ჯვრის მონასტრის მთის ტერფამდე გაიშალა.

ვაჟა თავისიანებს ეძებდა, ხალხში

თენგიზ გოგოლაძე

როცა გზაზე გლეხთა ჯგუფი შენიშნა, სერგო ორჯონიკიძემ ნაბიჯს მოუჭარა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მხიარულად მიესალმა სერგო და მოასწრო რამდენიმე კაცისთვის ხელი ჩამოერთმია, — შემოგვიერთდით, შემოგვიერთდით, — დაიძახა მან, კიდევ რაღაცის თქმა ვერც კი მოასწრო, მცხეთელები და გარიყულელები ისე უცვიმ გაითქვიფნენ ოთხიათასიან თბილისელთა ლაშქარში. მამაკაცებს გარდა აქ იყვნენ ქალები, მოწაფეები, სტუდენტები. ლაშქრის უმეტესობას კი მუშები შეადგენდნენ.

ვაჟა ხალხში გაერია. დაიბნა. თვალთაგან უცებ დაეკარგნენ თავისიანები. ხალხის ღიღინას გაპყვა.

ხალხი მტკვარს გაღმა გავიდა. მთელი არმია ზემო ავჭალიდან ჯვრის მონასტრის მთის ტერფამდე გაიშალა.

ვაჟა თავისიანებს ეძებდა, ხალხში

ბარაკებზე გადმორბოდნენ, რომ დაწინაურებულთათვის გამოეს ყროთ და მათზე უწინ ჩასულიყვნენ ზემო ავჭალაში. გორაკებზე ამორბენილთა რიცხვმაც თანდათან იმატა.

— მოდიან! მოდიან! — დაიძახა ვაჟამ და ფერდობზე დაეშვა.

ბზისპირას წამოწოლილნი და ჩამოსხდარნი წამოიშალნენ, საგზალსა და ნიჩბებს დაავლეს ხელი.

— გზაზეც მოდიან, აი ამ ფერდობებზეც!...

— კარგად დაიმახსოვრე ეს დღე, შვილო, — თავზე გადაუსვა ხელი გიგომ აღელვებულ ყმაწვილს, — ასეთ დღეს მეც პირველად ვხედავ. დიმახსოვრე, რასაც დღეს აქ ნახავ და შენს შვილთა შვილებს უამბე ჩვენი შრომის პირველი ზეიმი.

„შრომის ზეიმი! რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც!“ გული გამალებით უცემდა ვაჟას და რწმენა დიდებულის, მაგრამ ჯერ დაუნახავისა თანდათან ეუფლებოდა.

ხმარმა იმატა. თბილისელთა მრავალთასიანი ლაშქარი აზვირთებული მიადგა ზემო ავჭალას.

მუშებები მანქანა ფრუტუნით მოდიოდა, შიგ შოფრის მეტი არავინ იჯდა. მანქანას მოაყვებოდნენ სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ელსადგურის მშენებლობის კომისიის წევრები.

გერონტი ერისთავი და მშენებლობის უფროსი, ინჟინერი ჭიჭინაძე მტკვარს გაღმა ელოდნენ შაბათობაზე დაძრულთ.

ეშზალებიან იუბილესათვის

კოლხიდის ზღვისპირა ქალაქში ხორციელდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მრავალი ღონისძიება. ამ დღეებში ფოთის კ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების საქალაქო ტური, ხოლო მუსიკალურ-სკოლაში — აკადემიური კონცერტი.

საქალაქო ტურში მონაწილე კოლექტივის სახლის, რკინიგზისა და მეზღვაურთა კლუბების კოლექტივებმა წარმოადგინეს ო. დგებუაძის დრამა „ოთხი სიცოცხლე“, ჯ. ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“ და ლ. კარასევის ერთმოქმედებიანი პიესა „ადამიანისადმი სიყვარული“.

ეიურის გადაწყვეტილებით ყველაზე მაღალი შეფასება ხვდა მეზღვაურ სცენისმოყვარეთა სპექტაკლს („ადამიანისადმი სიყვარული“), რომლის დამდგმელია მ. პერედერეევა. ამ დადგმით ეს კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ ფესტივალში.

მუსიკალური სკოლის აკადემიურ კონცერტზე კარგი მომზადება აჩვენეს მეგიოლინეთა ანსამბლმა და ცალკეულმა ნორჩმა მუსიკოსებმა.

კ. კოპაძიძე.

ფრთაშესხმული ოცნება

ვაჟას, როცა კი დროს იშოვნიდა, უყვარდა ივრის ხეობაში გავლა. მთის მომცრო ცხენზე ამხედრებული მგოსანი ჩამოუვლიდა თავის მეგობრებს არტანსა და კეკრნაულაში, ჯიჯეთსა და ტოლათსოფელში... მას ბევრი რამ აკავშირებდა თიანეთთან და თიანეთელებთან, კარგად იცოდა საქართველოს ამ ლამაზი კუთხის ვინრი და ლხინი. გადაიკითხეთ მისი „თიანური ფელეტონები“ და მიხვდებით, რა აღელვებდა პოეტს, რაზე ფიქრობდა, რაზე ოცნებობდა... როცა ივრის ხეობაში ვარ, ასე მგონია პოეზიის დეკგმირს მივდივ მოკრძალებით, მას ძველი ბოზობი ახუროვს, ფშაური წინდები და პაიჭები აცვია, მხრებზე კი ნაბადი მოუსხამს, რომლის კალთები ქარზე არწივის ფრთებივით იშლებიან.

— ჩვენ მხარეს, — წერდა მგოსანი, — სხვათაშორის, ერთი ჭირი სჭირს და ამ ჭირით მარტო ჩვენ არა ვართ დაავადებულნი, არამედ ჩვენნი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიც, ეს ჭირი სამიკიტნოების გამრავლება გახლავთ... ჩვენებურმა მედუქნეებმა, რაკი ერთხელ და ერთხელ ხეირი ნახეს, მოუხშირეს დუქნების გაღებას. ჩაიგდეს ხელში ორივე ხეობა ივრისა და არაგვისა... იქ, სადაც დღემდე მხოლოდ არაგვი ჩქეფდა და მის ჩქეფას ჯიხვი უგდებდა ყურს, დღეს იქ „ჩოთკის“ მარცვლების წკაპაწკუპი გაისმის...

თიანეთი დგას ერთ დონეზე, როგორც სადმე მივარდნილს ადგილას, ნარეკლის მინდორზე პატარა ოლე. თიანეთი იგივეა, რაც ოცი წლის წინათ, ვინც მდიდარი იყო, იგივე მდიდრდება, ჩვენი ერთი კაციც არ გამოსულა მოვაჭრე ამ ხნის განმავლობაში...

1875 წლის 4 სექტემბერს „დროება“ წერდა: ... ჩვენ შეკიბეთ, რომ ამ მოკლე ხანში თიანეთში შემდგარა „მომხმარებელთა საზოგადოება“. საკუთარი მაღაზიის გახსნითა და ვაჭრობით სურთ ცოტათი მაინც დაიხსნან აქაური ხალხი ვაჭრების შევიწროებისაგან. ამბობენ, ამ საზოგადოებაში სულ გლეხები გარევინო, საზოგადოების წესდება, როგორც ვიგიგეთ, უკვე თბილისში. ბერძენ ვაჭრებს აქვს დასამტკიცებლად წარდგენილია.

ვაჟას, თიანეთიდან რომ ბრუნდებოდა, ივრის რიუანში პატარა ბიჭი დაეხახა, რომელიც ღრმა მწყემსავდა და თან ასკილისაგან გათლილ სტვირს ამღერებდა:

— ილიკო, ბიძაისკაცო, მოდი აქა! — გასძახა ვაჟამ.

გახარებულმა მწყემსმა სტვირი უმალ უბეში ჩაიდო და ვაჟასკენ გამოქანდა:

— გამარჯობა, ბიძავ, როგორა ხარ, როგორ რას შაექცევით.

— გიშველოს ღმერთმა, ჩემო ილიკო, ოვითონ როგორ რასმე ხარ, ხო არ გაწყენ-გაჯავრებს.

ვაჟამ ხურჯინის ერთი ტოტი მოსწია, თითქოს ტიკვრას ეძებდა, მაგრამ ხელში ერთი კვნიტი ნიორი აღმოაჩნდა:

— აბა, ილიკო, დუქანი კვერნეულაში არა გაქვთ, სასმელი რომ მეყოდა, აიღე ნიორი, ეგეც არაყივით მწარეა, საგზაო მაგით დავლოთთ...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ილიკო მარცვალაშვილი ახლა ჭალარა კაცია.

მამადავითზე დეკგმირული ძალით სძინავს ვაჟა-ფშაველას, ისევ მედიდურად გადმოჰყურებენ ქვეყანას კაკაესიონის მთები, რომლებიც თავიანთ ძუძუს აწოვებენ იორს და არაგვს, კვლავ მხნედ მოიმღერიან მთის მდინარეები, თითქოს და ქვეყნად არაფერი შეცვლილა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. აბა გახედეთ სოფლებს. რარიგ დამშვენებულან ახალი სახლებით, ილიჩის ნათურებით, სკოლებით, კლუბებით, სმკოთხეველოებით, ცოდნით და განათლებით...

დიდად გაიხარებდა ვაჟა, ცოცხალი რომ იყოს, „ხიონის ზღვას“ ხილვით, გაიხარებდა მოასფალტებული გზებით, ხიდებით, ინიმოვნებდა განათლებული თიანელების — ექიმების, პედაგოგების, ინჟინრების, აგრონომებისა და სხვა მრავალი სპეციალობის ინტელიგენტებთან საუბრით, ნახავდა ვაჭრობის მუშაკებსაც, რომელთა ხილვაც მას დიდი ხნის წინათ სურდა. ყველაფერი ეს მგზნებს სანუკვარი ოცნება იყო, რომლის აღსრულება მას ყოველთვის სწამდა და სჯეროდა, მაგრამ ქვეყნის ზღაპრული განახლება ისტორიის ასეთ პატარა მონაკვეთში თვით გენიალური ფანტაზიის კაცსაც გაკვირვებდა.

დედამიწას თავისი ძენი არ ფალუთხოვია, არ ფონკვამს. თქვენი კვება არ შემიძლიაო, მაგრამ უკვე არის მადლიანი რიცხვი ქართველი მოვაჭრეებისა. ვაჟას დროს, როგორც 1888 წლის 6 თებერვლის „ივერია“ იუწყებოდა, მთელ თიანეთის მაზრაში სულ თხუთმეტი დუქანი ყოფილა, აქედან სამიოტნო ზეიდი. ახლა მარტო თიანეთის რაიონში ორმოცდაშვიდი სავაჭროა, ამას დავუმატოთ საზაკვების ათი ობიექტი. გულს ახარებს სოფლებში საქონლით გაჯერებული მაღაზიები, რაიონული უნივერმაღი, რომლის მაღალი შენობა თავს იწონებს ივრის ნაპირას, თუმცა მარტო შენობა როდია ვაჭრობაში გადამწყვეტი.

ჩვენს წინაპრებს — გლეხკაცებს დღენიადაგ სანატრელი ჰქონდა მარილი, საპონი, ფარჩა... ალბათ საქართველოს თიანეთში დაიბადა ნაღვლიანი სიმღერა: — აღზეკაბს წვავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო... ჭრიჭინებდა გაუსაპნავი ღერძი, გაოფლილი კამეჩები ტაატით მიგორებდნენ ურემს, ქორვაჭრები და მევაზეები სწოვდნენ გლეხკაცის სისხლს, რომელსაც „სამუდამოდ დაუწყეულია „ჩოთქი“ და მისი მომგონი. ახლა?

შორიდანვე მგზავრის თვალს ახარებს ზარაძეების სოფლის მაღაზია, რომელიც ახალ, ტიპურ შენობაშია მოთავსებული. მომხმარებელს ყოველთვის სამმაინად ხვდება მაღაზიის გამგე-გამყიდველი სიმონ უშიკაშვილი. ახლაც საუბარში რომ ვიყავით, კარი მაღალმა მთიელმა შემოაღო: „სალამი, ჩემო სიმონ!“ — თქვა მოსულმა. — იცოცხლე და გიახარე, ჩემო მაქსიმე. რაზე გარჩილხარ? — ცოტა დამიგვიანდა კაი, მაგრამ რა ვუყოთ, მალე ცხვარში წასვლა მომიწევს, მინდა ეროი კარგი ჩექმები ვიყიდო.

— აბა ვნახოთ, თუ შენი ხარგო მაღაზიაში არ აღმოჩნდა, თიანეთის ხაწყობს მივაკოთხვე და აუცილებლად გიშოვნი...

მდიდარი მაღაზია აქვთ ზარაძეებს. რა გინდა, სულო და ვუღლო აქ რომ არ იშოვნო. ეს თავისთავად როდი მოდის. საქონელი რომ შემოაღლდება, სიმონი ერთ განგაშს ატეხს. თიანეთში ჩავა, გამგეობას შეაწუხებს ეს მანამდე არ მოეშვება, სანამ საჭირო საქონელს არ წამოიღებს.

სიმონ უშიკაშვილი ამბობს: — მაღაზიაში წელიწადის ოთხივე დრო უნდა იგრძნობოდეს.

— ეს როგორ?

— ილიკო, ბიძაისკაცო, მოდი აქა! — გასძახა ვაჟამ.

გახარებულმა მწყემსმა სტვირი უმალ უბეში ჩაიდო და ვაჟასკენ გამოქანდა:

— გამარჯობა, ბიძავ, როგორა ხარ, როგორ რას შაექცევით.

— გიშველოს ღმერთმა, ჩემო ილიკო, ოვითონ როგორ რასმე ხარ, ხო არ გაწყენ-გაჯავრებს.

ვაჟამ ხურჯინის ერთი ტოტი მოსწია, თითქოს ტიკვრას ეძებდა, მაგრამ ხელში ერთი კვნიტი ნიორი აღმოაჩნდა:

— აბა, ილიკო, დუქანი კვერნეულაში არა გაქვთ, სასმელი რომ მეყოდა, აიღე ნიორი, ეგეც არაყივით მწარეა, საგზაო მაგით დავლოთთ...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ილიკო მარცვალაშვილი ახლა ჭალარა კაცია.

მამადავითზე დეკგმირული ძალით სძინავს ვაჟა-ფშაველას, ისევ მედიდურად გადმოჰყურებენ ქვეყანას კაკაესიონის მთები, რომლებიც თავიანთ ძუძუს აწოვებენ იორს და არაგვს, კვლავ მხნედ მოიმღერიან მთის მდინარეები, თითქოს და ქვეყნად არაფერი შეცვლილა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. აბა გახედეთ სოფლებს. რარიგ დამშვენებულან ახალი სახლებით, ილიჩის ნათურებით, სკოლებით, კლუბებით, სმკოთხეველოებით, ცოდნით და განათლებით...

დიდად გაიხარებდა ვაჟა, ცოცხალი რომ იყოს, „ხიონის ზღვას“ ხილვით, გაიხარებდა მოასფალტებული გზებით, ხიდებით, ინიმოვნებდა განათლებული თიანელების — ექიმების, პედაგოგების, ინჟინრების, აგრონომებისა და სხვა მრავალი სპეციალობის ინტელიგენტებთან საუბრით, ნახავდა ვაჭრობის მუშაკებსაც, რომელთა ხილვაც მას დიდი ხნის წინათ სურდა. ყველაფერი ეს მგზნებს სანუკვარი ოცნება იყო, რომლის აღსრულება მას ყოველთვის სწამდა და სჯეროდა, მაგრამ ქვეყნის ზღაპრული განახლება ისტორიის ასეთ პატარა მონაკვეთში თვით გენიალური ფანტაზიის კაცსაც გაკვირვებდა.

დედამიწას თავისი ძენი არ ფალუთხოვია, არ ფონკვამს. თქვენი კვება არ შემიძლიაო, მაგრამ უკვე არის მადლიანი რიცხვი ქართველი მოვაჭრეებისა. ვაჟას დროს, როგორც 1888 წლის 6 თებერვლის „ივერია“ იუწყებოდა, მთელ თიანეთის მაზრაში სულ თხუთმეტი დუქანი ყოფილა, აქედან სამიოტნო ზეიდი. ახლა მარტო თიანეთის რაიონში ორმოცდაშვიდი სავაჭროა, ამას დავუმატოთ საზაკვების ათი ობიექტი. გულს ახარებს სოფლებში საქონლით გაჯერებული მაღაზიები, რაიონული უნივერმაღი, რომლის მაღალი შენობა თავს იწონებს ივრის ნაპირას, თუმცა მარტო შენობა როდია ვაჭრობაში გადამწყვეტი.

ჩვენს წინაპრებს — გლეხკაცებს დღენიადაგ სანატრელი ჰქონდა მარილი, საპონი, ფარჩა... ალბათ საქართველოს თიანეთში დაიბადა ნაღვლიანი სიმღერა: — აღზეკაბს წვავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო... ჭრიჭინებდა გაუსაპნავი ღერძი, გაოფლილი კამეჩები ტაატით მიგორებდნენ ურემს, ქორვაჭრები და მევაზეები სწოვდნენ გლეხკაცის სისხლს, რომელსაც „სამუდამოდ დაუწყეულია „ჩოთქი“ და მისი მომგონი. ახლა?

შორიდანვე მგზავრის თვალს ახარებს ზარაძეების სოფლის მაღაზია, რომელიც ახალ, ტიპურ შენობაშია მოთავსებული. მომხმარებელს ყოველთვის სამმაინად ხვდება მაღაზიის გამგე-გამყიდველი სიმონ უშიკაშვილი. ახლაც საუბარში რომ ვიყავით, კარი მაღალმა მთიელმა შემოაღო: „სალამი, ჩემო სიმონ!“ — თქვა მოსულმა. — იცოცხლე და გიახარე, ჩემო მაქსიმე. რაზე გარჩილხარ? — ცოტა დამიგვიანდა კაი, მაგრამ რა ვუყოთ, მალე ცხვარში წასვლა მომიწევს, მინდა ეროი კარგი ჩექმები ვიყიდო.

— აბა ვნახოთ, თუ შენი ხარგო მაღაზიაში არ აღმოჩნდა, თიანეთის ხაწყობს მივაკოთხვე და აუცილებლად გიშოვნი...

მდიდარი მაღაზია აქვთ ზარაძეებს. რა გინდა, სულო და ვუღლო აქ რომ არ იშოვნო. ეს თავისთავად როდი მოდის. საქონელი რომ შემოაღლდება, სიმონი ერთ განგაშს ატეხს. თიანეთში ჩავა, გამგეობას შეაწუხებს ეს მანამდე არ მოეშვება, სანამ საჭირო საქონელს არ წამოიღებს.

სიმონ უშიკაშვილი ამბობს: — მაღაზიაში წელიწადის ოთხივე დრო უნდა იგრძნობოდეს.

— ეს როგორ?

— მე კი მეგონა...

— რა გეგონა, ბიჭო, ეგნახის სარწყავ რუს ხომ არა ვთხრიდით? — გაიღიმა ერთმა გარიყულელმა.

ვაჟამ ოფლი მოიწმინდა. ბორკის თხემზე ფოტოგრაფი დაინახა თავისი ფეხებგაჩაჩხული აპარატით. ზემო ავჭალის მიდამოებს იღებდა. ალბათ მრავალი წლის მერე ხალხს დღევანდელ დღეს გადაღებულ სურათს აჩვენებდა და ეტყოდა:

— ასეთი იყო.

მაშინ კი სხვანაირი იქნება, სულ სხვანაირი!

• • •

სურათზე: ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პირველი დღეები (1922 წ.). მარჯვნივ წინა პლანზე სერგო ორჯონიკიძე.

მნერალი და მოქალაქე

ნიკოლო მიწიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

1929 წელს „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში მოთავსებული იყო ამავე ჟურნალის რედაქტორის, თვალსაჩინო პოეტისა და პროზაიკოსის ნიკოლო მიწიშვილის ლექსი ასეთი სათაურით: „პასუხი პაოლო იაშვილს, რომელმაც მთხოვა ლექსის დაწერა გაზეთისათვის“. ამ ლექსში ვკითხულობთ:

მე, ამხანაგო, ვერ ვასრულებ
შენს დავალებას...
რა ვქნა, მთავრობამ გამიჩინა
ისეთი საქმე,
რომ ვეღარ ვიცლი —
სახელგამი ძალიერ დიდია.
მე ვბეჭდავ წიგნებს,
ლექსებით კი ვერ ვიქარაგმე,
როგორ გაფრინდე, როცა მიწა
ზურგზე კიდია.
და — შევიქენი შავი მუშა მე
ოქტომბერის,
რადგან წარსული მეჩვენება
როგორც მირაჟი.
მწყინს — ჩემი ლექსი
ისე ხშირად
დღეს რომ არ მღერის,
მაგრამ იმღერის
სახელგამის წიგნთა ტირაჟი.

ეს მართლაც ასე იყო. საგამომცემლო საქმეს აღორძინება, ქართული წიგნის კულტურის ამაღლება მეტიდროდ და განუყრელად იყო დაკავშირებული ნიკოლო მიწიშვილის სახელთან. ქართულ კულტურას მან ამ საფრიფინც ფასადუდებელი და განუზომელი ამაგი დაადო. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა ამ კაცის თაოსნობის, ორგანიზატორული ტალანტისა და დაუცხრომელი ენერგიული მოღვაწეობის წყალობით დადგა ფეხზე; ის, როგორც ამ გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე, იყო მთელი საქმის სულიჩაჩამდგმელი, არა მარტო ტექნიკური შემარულებელი, არამედ წიგნის შემკეთებელი, შთამაგონებელიც, სტენლების მიმცემი მწერლისა თუ მეცნიერისათვის.

ამ პატრიოტულ საქმეს ნიკოლო მიწიშვილი მთელი გულით, მთელი გატაცებით ეძღვოდა. გარეგნულად მშვიდი, აუღელვებელი, მუდამ დინჯი კაცი იყო, მაგრამ ამ სიმშვიდეში მუდამ იგრძნობოდა დაუცხრომელი ტემპერამენტი და განუზომელი სიყვარული საქმისა. ერთხელ მან ოთხი ყველაზე საუკეთესო ოსტატი ქართული სიტყვისა გამომცემლობაში მიიწვია. სხდომის დაწყებამდე ოთხივეს დაბეჭდილი კონვერტები დაურიგეს, რომლებშიც საკმაოდ მოზრდილი თანხა იყო. რა თქმა უნდა, ლიტერატურაში წარმატებისათვის ეს არ არის მთავარი, მაგრამ ჭკვიანმა მეურნემ იცის იცოს — კარგ მბარველსა თუ მთხზელს რომ მიიწვევ, არ უნდა იძუნწო. მაშინ დანახარჯს ათწილად ამოიღებ. სულ მალე დაიწყო სხდომა და მიწიშვილმა მოწვეულთ მიაცა ოთხ კვირის ვადა, რათა ერთი ძალიან ძნელად სათარგმნელი უცხო ავტორის წიგნიდან პირველი ფურცელი, მარტო პირველი ფურცელი ეთარგმნათ. ჭაბნიკი უნდოდა აელო, ანახა ვინ როგორ გაიტანდა ამ ბედვიკვალს ამ ძნელ ყამირში. საერთოდ, სათარგმნელად წიგნს რომ გადასცემდა, ამის შემდეგ მიწიშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თარგმანი ორიგინალის ტოლი და ბადალი ყოფილიყო.

ნიკოლო მიწიშვილმა კარგად იცოდა, რომ წიგნის გამომცემელი არ არის ლიტერატურის მარტო შავი მუშა: ის წარმმართველიც არის, პარტიის ლიტერატურული პოლიტიკის პირველი განმახორციელებელი; ის ხელმძღვანელობს ლიტერატურულ პროცესს; ის არის „პრორაბი“ ლიტერატურის ისტორიის შენობისა, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, კალატოზთა ზედა მომგე ანუ ზედა მდგომელი. მიწიშვილი სწორედ ასეთი გამომცემელი იყო. მას უხაროდა ყოველი ახალი კარგი ნაწარმოების გამოჩენა. ერთხელ ერთმა პროზაიკოსმა შესჩივლა მას, „მნათობში“ მოთხრობა არ დამიბეჭდეს, მითხრეს — პაციფისტურიაო. მიწიშვილმა წინადადება მისცა — მომტანე, მე ვნახოვო. მწერალმა მიუტანა თავისი მოთხრობა. ერთი კვირის შემდეგ ავტორმა გამომცემლობაში შეიარა; და როგორი იყო მისი გაოცება, როცა ნიკოლომ უთხრა:

— რათ დაიგვიანე ამდენ ხანს, ახლა სტამბაში წადი და კორექტურას მიხედე.

წიგნი სულ მალე გამოვიდა, და ახლა მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს არის არა პაციფისტური, არამედ ბეშშარიტი ჰუმანიზმის სულით გამაჭვალული შესანიშნავი მოთხრობა პირველ მსოფლიო ომზე, ხალხის ტანჯვაზე და ტკივილებზე, იმდროინდელ ქართულ სოფელზე.

მწერლების გვარები არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მე განზრახ არ დავასახელე. ეს იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევები მიწიშვილის მუშაობისათვის ძლიერ ტიპიური და დამახასიათებელი იყო, ეს იყო მისი ყოველდღიური პრაქტიკა და ასეთი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება მოიყვანოთ. მიწიშვილი იყო გამომცემელი, როგორიც შეიძლება ინატროს მწერალმაც და მკითხველმაც. მას ორგანულად არ შეეძლო გულგრილად, დაუდევრად მოჰკიდებოდა მწერლის ხელნაწერს — რომანი იქნებოდა ეს თუ მოთხრობა. თარგმანი თუ ორიგინალური ნაწარმოები, მას უაღრესად ფაქიზი გემოვნება ჰქონდა და ამიტომ მისი გამოცემული წიგნი, როგორც მხატვრული, ისე პოლიგრაფიული შესრულებისა და გაფორმების თვალსაზრისით სანიმუშოა დღესაც, როცა ესოდენ წინ წავიდა ჩვენი წიგნის გრაფიკაც. გამოცემის საქმეც და პოლიგრაფიაც. ნ. ჩერნიშევსკი მან აღმოაჩინა და მან მიიწვია, როგორც მთავარი მხატვარი გამომცემლობისა, და მან ისე გააფორმა ყველა წიგნი — სტენდალისა იქნებოდა ის, თუ კონსტანტინე ბაბასხურდისა, სერგო კლდიაშვილისა თუ მიხეილ ჯავახიშვილისა, რომ ჩვენ ერთი-და დაგვრჩენია — ვუსურვოთ ასლანდელ გამომცემლებს ასეთი სიყვარულით და გემოვნებით იმუშაონ წიგნზე.

ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, ისეთივე გულდადებული და გულმხურვალე მოყვარული და მზრუნველი ქართული საქმისა, როგორც მე-19 საუკუნის მოღვაწენი, რომელნიც ათას ჭაპაწს იყვნენ გაბმულნი — პოეტებიც იყვნენ, პუბლიცისტებიც, რედაქტორებიც, დღე და ღამე გადაბმული ჰქონდათ. ოღონდ საკვიცნო საქმისათვის მხარი შეეწეოთ; მიწიშვილი მათი ღირსეული შთამომავალი იყო. გამომცემლობაში მუშაობას ის მრავალ სხვა, არანაკლებ საჭირო და სასარგებლო საქმესთან ათავსებდა. ის იყო დამაარსებელი და პირველი რედაქტორი ჟურნალ „ქართული მწერლობისა“, დამაარსებელი და პირველი რედაქტორი „ლიტერატურული გაზეთისა“, დამაარსებელი და რედაქტორი ერთდროული გაზეთისა „პოეზიის დღე“, მთავარი რედაქტორი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასი“, მუშაობდა ლიტერატურული ფონდის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად და ა. შ.

და ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ამდენი საქმით გართული, მუდამ მოუცლელი მაინც ასწრებდა, ახერხებდა აეწია ამოდენა საქვეყნო ტვირთიც და, იმავე დროს, ეწერა თავისი მშვენიერი ლექსებიც, მოთხრობებიც და პუბლიცისტური წერილებიც.

მაგრამ ვიდრე ამ ნაწარმოებებს შეეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ მისი ცხოვრების ადრინდელ წლებზე.

მისი ბიოგრაფია — ძალზე ჩვეულებრივია. დაიბადა სოფელ ჯვარისაში (ქუთაისის მაზლობლად); მამავალი მწერლის მამა — იოსებ სირბილაძე — სოფლის მჭედელი იყო („მე მახსოვს ბავშვობა და ახალი წელი სოფლად, — წერდა მიწიშვილი თავის წიგნში „გარდაცვალება“, — მახსოვს რიტუალი სამჭედლოში. როცა მამაჩემი დაანთებდა სანთელს გრდემლის „აგარ შუბლზე“); შემდეგ ქუთაისის რეალური სასწავლებელი. ამას მოაყვა ორწლიანი სამასწავლებლო კურსები... სოფლის მასწავლებლის მძიმე და საპატიო შრომა... პირველი ლექსები, მინიატიურები და წერილები, გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე — ასეთია მისი ბიოგრაფიის მთავარი ეტაპები თებერვლის რევოლუციამდე. ამ რევოლუციის შემდეგ კი მიწიშვილი უფრო ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის, აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1917 წელს იგი რედაქტორობს ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გაზეთს, რომელსაც „ბოლოს სოლდატი“ ეწოდებოდა. 1919 წელს ის უკვე თბილისშია, რედაქტორობს ყოველკვირეულ გაზეთს „ნოვი დენ“. ნ. მიწიშვილმა თავის ყველაზე შესანიშნავ ნაწარმოებში — „ეპოპეაში“ მოიყვანა ერთი დოკუმენტი, რომელიც თვალსაჩინოდ მეტყველებს, თუ რაოდენ ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა მას და რაოდენ ძნელი იყო მაშინ სიმართლის თქმა. აი ეს დოკუმენტიც:

„შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება. 18 აგვისტო, 1919 წელი (გადაეცა პრესბიუროს). მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა, გავეცანი რა იმ ცნობებს, რომლებიც მთავაზებულია გაზეთ „ნოვი დენ“-ის მე-17 ნომერში სათაურებით „ანტანტა და საქართველო“, „დენიკინი ახლოვდება“, „საჭიროა სასტიკი წინააღმდეგობა“, „საქართველოს შეთანხმება ინტერსთან“ „და წვიალე რა მხედველობაში, რომ ასეთი განზრახ ყალბი და პროვოკაციული ცნობების გამოქვეყნება იწვევს მღელვარებას მშვიდობიან მეზობელთა შორის, დავადგინე: გაზეთი „ნოვი დენ“-ის გამოცემა შეჩერდეს. რედაქციის ბინა დაიბეჭდოს, რედაქტორი მიწიშვილი დატუსაღებულ იქნას და საქმე სასამართლოს პროკურორს გადაეცეს. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი“.

რა მოქმედ მინისტრის ამ ბრძანებას, ამაზე თვითონ მიწიშვილი მოგვითხრობს:

„ორშაბათს, ნასადილევს, როცა მთავრობის სასახლეში ვბრუნდებოდი სამუშაოდ (კრედაქტორობდი დამფუძნებელი კრების სტენოგრამებს), ვხედავ — კიბეზე ჩამომჯდარა ერთი ჩემი სასჩინოელი ნაცნობი ახალგაზრდა (წინათ მასწავლებელი ვიყავი საჩინოში). გადამეხვია, გადამკოცნა.

— რას აკეთებ, ბიჭო, აქ? —ვეკითხები მე.

— მე, შენ გენაცვალე, აგერ „ასობი ატრიადში“ ვმსახურობ. ორდერი მაქვს მოცემული — ვინცხა მიწიშვილი უნდა დეგიჭირო. ვეძებ და ვერ ვხვეე. მითხრეს, საცხა აქანაო. ჩამოვჯექი და ვუცდი.

— წაეიდეთ, მიწიშვილი მე ვარ-მეთქი“.

საქმე ის არის, რომ საჩინოელი ბიჭი მას ფსევდონიმით კი არა, ნამდვილი გვარით იცნობდა.

„—რავა გკადრო, შენ კი გენაცვალე, სადღა გამოყო თავი, რავა გავამხილო, რომ ჩვენი უჩიტელი დეგიჭირე... არ მინახავხარ, წადი, სადაც გინდა. შენი ჭირიმე...

მე გადაჭრით ვუთხარი; რომ წავყვები განსაკუთრებულ რაზმში“.

ასე მოხვდა მიწიშვილი მეტეხის ციხეში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის ისევ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას გაანგრძობს.

1922 წელს მიწიშვილი სათავეში უდგება ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაზეთ „ფიგაროს“ (გამოდიოდა თბილისში, რუსულ ენაზე). იმავე წელს მიემგზავრება პარიზში, სადაც მისი აქტიური მონაწილეობით გამოსვლას იწყებს საბჭოთა ორიენტაციის გაზეთი „ახალი საქართველო“. კომუნისტური იდეების პროპაგანდისათვის ის ჯერ დააპატიმრეს და საპყრობილე „სანტეში“ ჩასვეს, შემდეგ საფრანგეთიდან გაასახლეს. 1925 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას.

ნიკოლო მიწიშვილი დაიღუპა 1937 წელს.

როგორც პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი — ნიკოლო მიწიშვილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია; ეს არის უაღრესად თავიდებური შემოქმედი, რომელსაც ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარებაში, უფრო მეტიც, ქართული აზროვნების ისტორიაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება.

როგორც პოეტი, მიწიშვილი ეკუთვნოდა ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურულ სკოლას; მაგრამ, ისევე როგორც დიდი უმრავლესობა ამ სკოლის პოეტებისა, იგი სულ მალე დადგა რეალიზმის პოზიციაზე. მოდელექსები „ახალი მოედანი“, „ლადო კეცხოველი“, „ჰაჯიმურატის მოჭრილი თავი“, „დილა“, „კოლხიდა“, „ესპანთის ხალხს“ და მრავალი სხვა — ჭეშმარიტ ცხოვრების ტალღებზე მეოცე საუკუნის მჩქეფარე ცხოვრების სურათებს, მთელი მისი პოეზია გამსჭვალულია სამშობლოს ღრმა სიყვარულისა და ერთგულების წრფელი გრძნობით.

ნიკოლო მიწიშვილის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოება — „ეპოპეა“, ჟანრის მხრივ მეტად თავისებური ნაწარმოები, რომელიც მემუარებისა და ბელეტრისტიკის მიჯნაზე დგას. ეს არის წიგნი ქართველი ხალხის ისტორიულ ბედზე და მას მწერლის ღრმად ჩაფიქრების ბეჭედი აზის.

ნიკოლო მიწიშვილი, ამავე დროს, ავტორია ფრიად საინტერესო პუბლიცისტური წერილებისა, რომლებმაც თავის დროზე ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

ამ მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია მიმოხილვა იმ იდეებისა, რომლებსაც მიწიშვილის პროზაული და პუბლიცისტური ნაწარმოებები მოიცავენ. ერთის თქმა შეიძლება მხოლოდ: ეს იყო უაღრესად ორიგინალური მწერალი-მოაზროვნე, რომელმაც თავისი ახალი სიტყვა თქვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში.

მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალული იყო კეთილშობილური ჰუმანიზმის და ჩვენი ხალხისადმი ულრმესი სიყვარულის გრძნობით.

გიორგი ნატროშვილი.



ფართოდ ზლის მხრებს თბილისი. მის ქუჩა-სანაპიროს არაერთი მრავალსართულიანი სახლი ამშვენებს, ბევრი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია. **სურათზე:** სანაპირო. უკანა პლანზე — ახალი სასტუმროს „ივერიის“ მშენებლობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სიმფონიის მოგზაურობა

ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოებებს ასრულებენ საზღვარგარეთის ქვეყნებში

კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის ხუთნაწილიანი სიმფონია სიმებიანი საკრავების, ფორტეპიანოსა და ლატარეტისთვის პირველად თბილისში კონსერვატორიის დიდ დარბაზში აღეერდა 1965 წლის ივნისში. მაშინ საქართველოში ეწყობოდა ფესტივალი „ამერეკვეკასიის მუსიკალური გაზაფხული“. ფესტივალის მონაწილეებმა, მრავალრეცხოვანმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი კომპოზიტორის ასეთ ნაწარმოებს...

ამჟამად რევაზ გაბიჩვაძე სტუმრად არის მიწვეული პოლონეთში. იქ ქალაქ პოზნანში იმართება სიმფონიური მუსიკის კონცერტები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს ეძღვნება. საბჭოთა კავშირიდან ერთადერთ პოლონეთში მიწვეული არიან რევაზ გაბიჩვაძე და ლიტველი კომპოზიტორი ედ. ბალსისი. პოზნანის კონცერტების პროგრამაში შეტანილია რევაზ გაბიჩვაძის სწორედ ეს ხუთნაწილიანი სიმფონია.

ქართველი კომპოზიტორის ამავე ნაწარმოების გადაცემა თებერვლის პირველ დეკადაში ვათვალისწინებულია პარიზის რადიოსა და ტელევიზიაში დირიჟორ ანდრე ჟერარის ხელმძღვანელობით. შემდეგ ეს ნაწარმოები აკეთრდება ქალაქ რუსეში (ბულგარეთი) ტრადიციულ ფესტივალზე, რომელსაც ეწოდება „მარტის მუსიკალური დღეები“, ხოლო აპრილში სიმფონიას შეასრულებს ბუდაპეშტის ფილარმონიის ორკესტრი (დირიჟორი შ. ტამასი).

ივნისში ქ. დრეზდენში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) იმართება მუსიკალური ფესტივალი. აქ ქალაქ როსტოკის ნონტეტი შეასრულებს რევაზ გაბიჩვაძის მეორე ნაწარმოებს, კერძოდ, „კამერულ სიმფონიას 9 ინსტრუმენტისათვის“. გერმანელმა მეგობრებმა თავიანთ ქართველ კოლეგას გამოუგზავნეს ბარათი, რომლითაც რევაზ გაბიჩვაძე მიწვეულია ფესტივალის სტუმრად მისი ნაწარმოების შესრულებასთან დაკავშირებით.

ასასიხარულო სიახლენი

◆ **ახალციხე.** (საკ. კორ.). ახალმა წელმა ახალი სიხარული და ბედნიერება მოუტანა აქაურ მშრომელებს. ქალაქის ცენტრში, ძნელაძის ქუჩაზე, საეკსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი.

◆ **ზუგდიდის** პუტკომბინატის საკონდიტრო საამქროს საახალწლოდ გადაეცა ახალი, კეთილმოწყობილი შენობა. დამონტაჟდა ელექტროღუმელები, ცომსაზელი მანქანა და სხვა დანადგარები.

ახალი საამქროს ამუშავებით მოსახლეობა მიიღებს ოთხი სახის საკონდიტრო ნაწარმს.

ბ. ალუბაია.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

თარჯოლა. (საკ. კორ.). კვაჭირის საშუალო სკოლაში გულთბილი შეხვედრა მოუწყიეს გამოჩენილ თანასოფლელს, მხცოვან მეცნიერს, აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძეს. მას ახლდნენ პროფესორები ი. გაგუა, თ. ჯაფარიძე, ვ. გიორგაძე. შეხვედრას ესწრებოდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკები, მოსწავლეები, პედაგოგები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲔᲪᲮᲚᲘᲔᲠᲘ ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

მზრუნველი დირექტორი

დირექტორი მიმართავს მდივანს:
— ამ საღამოს თავისუფალი ხართ?
— დიახ.
— მაშ გთხოვთ ადრე მოისვენოთ, რომ სამუშაოზე ხვალ დილით დროზე გამოცხადდეთ.

ᲗᲘᲐᲜᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘ

ბებია ჩაჯდა თვითმფრინავში, რომლის პილოტი მისი შვილიშვილი იყო. ცოტა ხნის შემდეგ შვილიშვილი ეკითხება:
— ბებიაო, თავს როგორ გრძნობ?
— კარგად. მართლაც საინტერესო ყოფილა. ფანჯრიდან ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ჭიანჭველებსა გვანან.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ბუშინ საქართველოში უმეტესად მშრალი ამინდი იდგა. მხოლოდ შავიზღვისპირა ჩრდილო სანაპირო რაიონებში მოვიდა მცირე წვიმა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: გაგრაში — 20, გალში — 19 გეგეჭკორსა და ქუთაისში — 18. ზუგდიდსა და ოჩამჩირეში — 17, სოხუმში ცხაკაიასა და ფოთში — 16 გურჯაანსა და სოღნაღში — 14, ლაგოდეხში — 13, ბოლნისში — 10 ჯარდაბანსა და მანგლისში — 9 თბილისში — 8, ახასთუმანში — 6, ბაკურიანში — 5, ბორჯომში — 4 გრადუსი სითბო.

დღეს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რაიონებში, მოსალოდნელია მცირე წვიმა. იქროლებს აღმოსავლეთის სუსტი ხოლო რაიონის ზეობაში — ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა ბარში 12-17 ხოლო მთაში 0-5 გრადუსი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლური რაიონებში მოვა მცირე ნალექი ალაგ-ალაგ ჩამოწვება ნისლი; დაუბერავს სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში 7-12, მთაში 1-6 გრადუსი იქნება.

თბილისში ცვალებად მოღრუბლულობას ონდა ჯელოდთ, უნალექოდ. იქროლებს სუსტი ქარი. ტემპერატურა 8-10 გრადუსი სითბო იქნება.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲧᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲘᲛᲭᲘᲚᲠᲝᲕᲔᲑᲐ

XXXIV 1967 Сезон

ბუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში კვლავ დიდმალი მაყურებელი იყო. საკავშირო საპატრიარქო ჩემპიონატის მონაწილე გროსმაისტერებსა და ოსტატებს დასამთავრებელი ჰქონდათ მეცხრე და მეათე ტურის გადადებული პარტიები.

ბევრს ეგონა, რომ **კორჩნოი** ბრძოლას განახლებდა **ბურგენიძესთან** გადადებულ პარტიაში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლენინგრადელი გროსმაისტერი დარწმუნდა, რომ უკეთეს შემთხვევაში მას ყაიმისათვის შეეძლო მიეღწია და თამაშის განუახლებლად მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა. ასევე არ განუახლებიათ ბრძოლა **ხოლმოვსა** და **გელერს**. ორივე გროსმაისტერმა სატურნირო ცხრილში ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერა. **ტაიმანოვის** პოზიცია სსრ კავშირის ჩემპიონოსთან — **შტეინთან** გადადებულ პარტიაში უიმედო იყო და გაუთამაშებლად დანებდა მტეოქეს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **სმისლოვმა** კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა და ლიდერთა ჯგუფს შეუერთდა. ამჯერად მან დაამარცხა **სავონი. პოლუგაევსკიმ** მოუგო **ვასიუკოვს, ოსნოსმა — პოლუგაევსკის. გელერ-სავონის** პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე **ნიკოლაევსკი-ტაიმანოვისა** და **ვასიუკოვ-ხოლმოვის** პარტიები.

ამრიგად, ჩემპიონატის მონაწილეებმა გაიარეს მოჭაქნცველი მარათონის ნახევარი, უკან დარჩა ათი მძაფრი და შემოქმედებითი ტური, როგორია დღეისათვის მეტოქეთა მდგომარეობა?

ლიდერობს კვლავ **ნ. კროგიუსი** ინარჩუნებს, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. **ე. გელერს, ლ. შტეინს, ვ. კორჩნოის, ვ. სმისლოვსა** და **ა. ლეინს** ექვს-ექვსი ქულა აქვთ. **დ. ბრონშტეინს, რ. ხოლმოვსა** და **ა. გიასლოსს** — ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა, **მ. ტაიმანოვს, ი. ნიკოლაევსკის, ვ. ოსნოსსა** და **ა. ხუტინს** — ხუთ-ხუთი ქულა, **ლ. პოლუგაევსკის** — 4,5 ქულა, **ე. ვასიუკოვს, ბ. გურგენიძეს, ვ. სავონს, ე. გუფელდსა** და **ი. ნეის** — სამნახევარ-სამნახევარი ქულა, **ვ. დორონაშვილსა** და **ვ. ლიბერზონს** — ორნახევარ-ორნახევარი ქულა.

გროსმაისტერი ნ. კროგიუსი.
მეგობრული შარჟი
ბ. ფირცხალავასი.

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔᲮᲔ ᲢᲣᲠᲘᲐ

მეთერთმეტე ტურში კროგიუსი შავებით ითამაშებს ბიშესლისთან. ბურგენიძის თეთრებით პაეკრობა ექნება სუეტინთან. ყურადღებას იპყრობს ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის ლეინისა და კორჩნოის შეხვედრა.

დანარჩენი წყვილები ასეთია: დორონაშვილი — ნიკოლაევსკი, პოლუგაევსკი — შტეინი, ხოლმოვი — ოსნოსი, სავონი — ვასიუკოვი, გელერი — გელერი, ნეი — სმისლოვი, ბრონშტეინი — ლიბერზონი.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ...

ყოველ ტურს თავისი ცვლილებები შეაქვს სატურნირო ცხრილში. ზოგი მონაწილის მდგომარეობა უმჯობესდება, ზოგისა კი, პირიქით, მკვეთრად უარესდება. თვითეულ მონაწილეს თავისი ინტერესები და საქმეები აქვს. ზოგს ოქროს მედალი სურს, ზოგს საპრიზო ოთხეულში მოხვედრა. რა თქმა უნდა, ყველა ოსტატს სურვილია გახდეს გროსმაისტერი, მაგრამ ყველა გაურბის ბოლო ადგილს. განა ლიბერზონს მოსწონს სატურნირო ცხრილში 21-ე ნომრით ყოფნა? ამიტომ შტეინის გამარჯვებამ გაახარა ლიბერზონი, რომელიც ამის გამო დოროშკევიჩს დაეწია.

პიონერთა სასახლეში წილისყრის დროს ბრონშტეინს ტაში დაუკრეს. მას მე-13 ნომერი ხვდა წილად. ამ რიცხვის მოყვარულებიც არსებობენ და მტრებიც. არიან ისეთებიც, რომელთაც ეშინიათ 13 რიცხვისა, მაგრამ ეს ბრონშტეინს არ ეხება, რაც ნათელი ხდება მისი შედეგებიდანაც. ცოტა არ იყოს, ორიგინალური იყო ბრონშტეინის თამაში 13 ინვარს. მან პირველი დამარცხება განიცადა. ამაში დამნაშავეა არა იმდენად კროგიუსი, რომელიც „მშვიდობისმოყვარეა“ და არ გაურბის ყაიმებს, არამედ თვით ბრონშტეინი, რომელიც სხვას სამარეს უთხრიდა, ხსნიდა დიაგონალებს და ვერტიკალებს, რომლებითაც კროგიუსმა შემდეგში მის მეფეს შეუტია. უკვე 31-ე სვლაზე ბრონშტეინი დანებდა. „წყნარნაკადა“ კროგიუსმა კი პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ამრიგად, ჯერჯერობით მხოლოდ ვიქტორ კორჩნოი რჩება დაუმარცხებელი. ტურნირის „უკანასკნელი მოჰიკანი“ მე-10 ტურში ბურგენიძეს ეთამაშებოდა. ეს თამაში კი არ ყოფილა, არამედ გრანდიოზული ბრძოლა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე ძნელი, რთული პარტია იყო ამ შეჯიბრებაში. საკადრაკო პარტიაში ზოგჯერ ისეთი სიტუაციაა, რომ მეტისმეტად ძნელი ხდება სტრატეგიული გეგმის მოფიქრება, მორიგი ხვლის გაკეთება. იქმნება პოზიციები, როდესაც უდიდეს ექსპერტსაც კი უჭირს შეფასება, ვისი პოზიციაა უკეთესი და ვისი უარესი.

დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება ნიქმნა, რომ კორჩნოის უკეთესი პერსპექტივები ჰქონდა. შემდეგ გამორჩკა — ბურგენიძემ ძალიან ღრმად შეაფასა მდგომარეობა. კორჩნოი მთელი პარტიის მანძილზე კოლოსალური დამაბულობით აწარმოებდა ბრძოლას. ერთხელაც არ მოშორებია დაფას. ზოგჯერ ნისი პოზიცია არა მარტო მაყურებლებს, არამედ მასაც არ მოსწონდა. გროსმაისტერს სასტიკი ციტწტატი ემუქრებოდა, მაგრამ კორჩნოი ხომ კორჩნოი რჩება. ეს შესანიშნავი „მცველი“ არასოდეს არ იბნევა. ბურგენიძემ თქვა: „ამ პარტიას სწორაფად წააგებდა რომელი მოჯადო